ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თავმჯდომარის ბრძანება

ბრძანება:**ბ119. 11926140001**

თარიღი:**20/05/2026**

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მე-3 რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 35-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ნ“ ქვეპუნქტისა და ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მე-3 რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) განათლება - უმაღლესი;
ბ) სამუშაო გამოცდილება - 1 წელი;
გ) კომპიუტერული პროგრამების ცოდნა (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) კარგად;
დ) ქართული ენის ცოდნა (წერითი უნარები - C2, მეტყველება - C2);
ე) შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:
ე.ა) საქართველოს კონსტიტუცია;
ე.ბ) ევროპული ქარტია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“;
ე.გ) საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
ე.დ) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
ე.ე) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
ე.ვ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი;
ე.ზ) საკრებულოს აპარატის დებულება.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ირაკლი გიგინეიშვილი

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი